

კვირის კაზანი

თებერვალი, 1913 წ.

ფასი 3 კაპ.

გზნა

ალმანახი № 1.

გამოცა დროგამო-

შეებათ.

23 თებერვალს, დღის 12 საათზე სოფელ ოფშქეთში წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქნება პანაშუიდი ნაგაფორე კეჭელაძის სულის მოსახსენებლათ, რასაც აუწყებენ ნათესავ-მეგობრებს მისი ამხანაგები

საღლისოთ.

დღეს ყველა, რა მიმართულებისაც უნდა იყოს, ამბობს „ქართველი მშრომელი ხალხი გათვითცნობიერების გზაზე შედგა და სწრაფათ მიექანება წინო,“ მხოლოდ ამ გათვითცნობიერების ხელის შემშლელ მიზეზის თავიდან ასაცილებლათ რომ საჭიროა ხალხის შეკავშირება და საერთო ძალით მოქმედება-მუშაობა ეს უმეტესობას ნაკლებათ ესმის. უმცირესობა კი არსებს რა პროფესიონალურ კავშირებს, კოოპერატივებს, სხვა და სხვა განმანათლებელ საზოგადოებას, როგორცაა სახალხო უნივერსიტეტი, საღამოს კურსები, სამკითხველო-ბიბლიოთეკები და სხ. ცდილობს შემოკრიბოს ამ საზოგადოების გარშემო მასსა, შეგნების გზაზე დააყენოს და საერთო ძალით სძლიოს ის სიბნელე, რომელიც ხელს გვიშლის ჩვენზე „ბედნიერების“ შექმნისათვის. ქალაქებში საკმაო მომზადებული პირების ყოლა უფრო აადვილებს ასეთი კავშირების და საზოგადოების დაარსებას და საქმის გაძლიერებას, მხოლოდ პროვინციებში ასეთი პირების უყოლობა ძლიერ აბრკოლებს და თითქმის შეუძლებლათაც ხდის რაიმე კავშირების, კოოპერატივების და საზოგადოების დაარსებას. მასწავლებლები და მღვდლები, უმეტეს შემთხვევაში, ჩამოცილებ-

ბული არიან ხალხზე და ასე, სოფელი ანაბარათ მიტოვებული რჩება „შინაურ-გარეულ“ მტრების საძიძვნელათ, თითო ოროლა პირი, ხალხისმ ოამაგე, ცდილობს რაიმე სინათლე შეიტანოს ხალხში, მარა, ათასნაირი დამაბრკოლებელი მიზეზების გამო, მათი მოქმედება ხშირათ შუაგზაზე ყდება და ხალხს ისევ „სვავები“ ებატონებიან.

წასული წლის საყურადღებო ამბებმა, როგორც მეოთხე დუმის არჩევანი, ვაფიცვები, ბალკანეთის ომი და მთელი ევროპის ფეხზე დადგომა ბურჟუაზიისთვის ბაზრის მოპოება — გაფართოებისათვის, დიდი ინტერესი გამოიწვია მშრომელ ხალხში: კითხულობენ ჟურნალ-გაზეთებს, მსჯელობენ ამა თუ იმ მოვლენაზე და მოსალოდნელ შემთხვევებს რომ საზრიანათ შეხედენ ცდილობენ კავშირების დაარსებას. აი სწორეთ ახლაა საჭირო მათთვის გულშემატივარ-თანამოაზრეთა მიშველება, რომ სწორი შეხედულება იქონიონ ისეთ მოვლენაზე, რომელსაც სახალხო მნიშველობა აქვს.

† ექიმი სამსონ სვიმონის ძე დიდიძე.

წასული წლის 19 ნოემბერს თფილისში ტრალიკულათ გარდაიცვლა სამხედრო ექიმი სამსონ დიდიძე. მან თფილისის მეორე გიმნაზიაში დაასრულა სწავლა 1897 წ. და იმავე წელს შევიდა იურიევის უნივერსიტეტში, რომელიც დაასრულა 1902 წ. ამ წლიდან იწყო თფილისში სამსახური. უკანასკნელ წლებში მან ექიმის რომანოვსკის მეთოდით იწყო ექიმობა და მრავალი ხალხიც შიიზიდა. ამ მეთოდის შესახებ რამდენიმე ლექციაც წაიკითხა თფილისში. ოჯახურის და სხვადასხვა გარემოებისა გამო ერთი წელიწადი ავითმყოფობდა.

41 593

1913 წ. 26371



25 ნოემბერს მისი ცხედარი დასაფლავეს კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. კუბოს ამშვენებდა 25 გვირგვინი. სასაფლაოზე სიტყვა წარმოსთვა ბ. ბერიძემ. მან დაახასიათა ის, როგორც კეთილი ექიმი და საქმის მკოდნე. დარჩა ორი მცირე წლოვანი ვაჟი. საუკუნოთ იყოს ხსენება 'შენი ნათესავ-მეგობრებ შორის ძმაო სამსონ!

საყულიელი.

სხვა და სხვა ამბები

10 თებერვალს ქ. თფილისში დიდის ამბით გადიხადეს ვლადიმერ მესხიშვილის 30 წლ. მოღვაწეობის იუბილე. 10 მარტს იუბილეს იხდიან ქუთაისში, შემდეგ ბათუმსა და სხვა ქალაქებში.

— შორაბნის მაზრის, დ. ყვირილის მცხოვრებმა პორფილე მელაძემ შეამდგომლობა აღძრა თფილისის გუბერნატორის წინაშე, რათა მას ნება დართოს გორში გამოცეს ყოველ კვირეული საპოლიტიკო, სალიტერატურო სასაოფლო ჟურნალი „გზა“.

— სოფ. ოფშქეთის (ქუთ. მაზრა.) მომხმარებელი საზოგადოების გამგეობამ 11 თებერვლის კრებაზე დაადგინა: 1, მოწვეულ იქნას საზოგადოების წევრთა წლიური კრება 23 თებერვლისათვის, 2. გაიხსნას საზოგადოები სგანყოფილება სოფ. საყულიაში და 3 ლადო მესხიშვილის იუბილეზე. ქუთ. 10 მარტისთვის გაგზავნილ იქნას დებუტაცია.

— სოფ. ოფშქეთში (ქუთ. მაზრა) 28 წასულ დეკემბერს ხანგრძლივი ავთ-მყოფობის შემდეგ გადაიცვალა ნიკიფორე კეპულაძე. ის შეგნებული ახალ გაზდა იყო და ყველა კულტურულ დაწესებულებაში მხურვალე მონაწილეობას იღებდა; მუხიანის სამკითხველოს და ოფშქეთის მომხმარებელი საზოგადოების „გლეხი“ სერთი დამაარსებელთაგანი იყო და ხელს უწყობდა შეძლებისა და გვართ მათ წინ მსვლელობას. მისი ხსენება მარად დარჩება ამხანაგ მეგობრებ შორის.

პატარა ფელეტონი.

ს ი ზ მ ა რ ი.

(არაკი).

ერთმა მღვდელმა დამთ ძილში სიზმრათ ხას: იჯდა ცხენზე, რადაცაზე მოწყენილი მიდიოდა ნელა გზაზე.

ამ დროს იმან გზაზე კდებულს ხვირჯინის მოკრა უცებ თვალი, დაუკვირდა, რადაცებით საესე იყო ორივე თვალი.

მან ზირეულად კმაყოფილმა მადლი უძღვნა მუუეესა, და შესთხოვა: ჩემი ნატვრა დმერთო ასე ამხნდეს!

„ამ ხვირჯინის ორივე თვალი იქნეს საესე ტაბლუბითა, მსუქან ცხვრების სათბილათი, მსუქან ღორის ბეჭებითა.“

ამის შემდეგ გულის ძკერთ ხვირჯინის თვლებს გასხნის მღვდელი და შესძახებს: გამდლობ დმერთო ამისრულე საწადელი.

სწრაფლ ხვირჯინის კვლავ თავი მოკრა მოებჯინა ხელებითა, შემოირტვა ცხენის უკან უნჯინაზე თასმებითა.

თვითონც შეჯდა წამოვიდა უკან თვალის ჩერებითა, დაინახა ერთი მღვდელი მოქრის ცხენის ჭენებითა.

მღვდელი მიხვდა: ეს უთუოდ ჰატრინია ხვირჯინისა, ვაი თუ ესლა ეს წამართვა მეშინია მე იმისა.

სანამ მღვდელი მოვიდოდა
 მოვიდოდა სერსებო,
 სერსების სწრაფთა დათარსა
 ანაფორის კალთებიო.

მკვარევი მოწვდა, დაესაღმა,
 შემდეგ კითხა სვირჯინიო,
 სთქვა: მე იმის დამკარგავსო
 მიჩვენის სიკვდილიო.

მღვდელმა უთხრა: არ მინახავს
 ძმაო, შენი სვირჯინიო,
 მაგრამ ნუ შეგეშინდება,
 მხოლოდ უნდა სირბილიო.

რადგან, ერთი, ვიღაც კაცი
 მიდიოდა ჩემზე წინა
 ალბათ იგი იზოგინდა
 აბა, ჩქარა, გასწი წინა.

მაგრამ ამ დროს თავის სვირჯინს
 მღვდელმა ცხენზე მოკრა თვალი,
 და იმ წამსვე დაეჯახა
 ორივე სეფით ვითა მთურადიო.

ერთი ამბობს ჩემი არის
 მეორე კი—ჩემიაო,
 ვფიცავ სვინდისს ჩემი არის
 დამერწმუნე ძამიაო.

ერთ დროს ბეჭს გითავაზებ
 სანაფნელათ იკმარეო,
 დანარჩენი მე მომეცი,
 ჩემი არის იწამეო.

ერთმანეთს არ დაახებენ
 სვირჯინი და ტაბლეტიო;
 ამ დროს მღვდელმა ლოცინიდან
 მოადინა ბრაკვანიო.

ბიორგი.



საშურადღაგოთ

მუხიანის უფასო ბიბლიოთეკა—სამკითხველოს
 გამგეობა ამით აუწყებს მუხიანის რაიონის რე-
 გორც მდ. რიონის გაღმა, ისე გამოღმა მხარის
 მასწავლებლებს, მღვდლებს, თავადაზნაურობას
 და გლეხობას, რომ სამკითხველოს შენობის
 დასრულების შემდეგ, ბინის კურთხევაზე მოწ-
 ველ იქნება მცხოვანი პოეტი აკაკი, მისს პატივ-
 საცემლათ გაიმართება მეჯლისი-სალამო და შემ-
 დეგ მოეწყობა მისი მოგზაურობა მთელს რაი-
 ონში, მდ. რიონის გაღმა—გაღმა მხარეში. ამ
 საქმის მოსაწყობათ აირჩევა კომისია, რისთვის-
 საც მარტს მუხიანში მოხდება კრება. ვთხო-
 ვთ ყველას დაესწროს ამ კრებას და მონაწი-
 ლეობა მიიღოს კომისიის არჩევაში.



პროვინცია

წერილი ღაბა ჟვირილიდან.

ვინ მოთვლის იმ გაჭირვებას, რასაც
 განიცდის ეს ექვსი-შვიდი წელიწადი ყვირი-
 ლის რაიონის მკვიდრნი ყაჩაღების თავაშვე-
 ბული თარეშისგან. ხალხმა არ იცის რა ზო-
 მას მიმართოს მათ წინააღმდეგ; დაცემა, კაცის
 კვლა, წერილების საშუალებით ფულის მოთ-
 ხონა, მუქარა—ჩვეულებრივ მოვლენათ გადა-
 იქცა, რასაც არავინ აქცევს ყურადღებას. მა-
 თის მეოხებით რამდენიმე საზოგადოებაში მთა-
 ვრობის მამასახლისებია ჩაყენებული, რომელ-
 თა შენახვა რამდენიმე ათასი მანეთი უჯდება
 საზოგადოებას. ეს ზედმეტი ხარჯები კი დარიბ
 ხალხს მიწასთან ასწორებს ქონებრივით. საზო-
 გადოების შეგნებულ პირთა ვალია ასეთ მოვ-
 ლენას დიდი ყურადღება მიაქციოს და ხალხი
 იხსნას გაჭირვებისგან.

ყვირილის სამოქალაქო სასწავლებელს
 გარშემო აკრავს ტბა-ტალახიანი ადგილები, რის
 გამო მოსწავლენი დიდს გაჭირვებას განიცდიან,
 მარა ამას არავინ აქცევს ყურადღებას. შკოლის
 აღმინისტრაცია ვალდებულია ამას ყურადღებით

8 468
1913

მოეპყრას და მოსწავლენი იხსნას გაკვივრებისაგან.

კული გზა გვაქვს სოფ. ფუთისკენ მიმავალ შარაზე; მეტადრე ბიქტორ გაჩეჩილაძის სახლთან გავლა დიდი ტალახების გამო შეუძლებელია. საზოგადოთ აქ გზების გაკეთებასა და სხვა ხალხისთვის სასარგებლო რამეებზე არავინ ზრუნავს. საჭიროა თვით ხალხმა ითავოს თავისი საქმეების მოწესრიგება, თორემ ისე საშველი არაა.

მანანია.

ქ. გორი

აღმსახს „გზა“-ს გამომცემელი ჯგუფი გორში გამოცემს ყოველ კვირულად ჟურნალს, რომლის ნება-რთვა უკვე თხოვა თფილისის გუბერნატორს, ხსნის ჟურნალ გაზეთების კანტორას და რკინის გზის სადგურის უბანში გაზეთხულიდან დაარსებს მომხმარებელ საზოგადოებას.

დროებით გორელი

ს. საშულია (ჭუთაინის მავრა)

აქაური ორ კლასიანი სასწავლებლის ახალი შენობის ასაგებათ შარშან რამდენჯერმე მოხდა კრება, განაჩენი შედგინეს, მთავრობას რამდენიმე ათასი მანეთი თხოვეს, მარა საქმე, სხვა და სხვა მიზეზების გამო შეჩერებულია, არა და შენობის უქონლობა დიდს ზარალს აძლევს ხალხს მით რომ, სკოლის ვარეშე ბევრი ბავში რჩება და სწავლა-განათლების საქმე ამით ბრკოლდება. მასწავლებლები და მზრუნველები ვალდებული არიან ამ საქმეს დიდი ყურადღება მიაქციონ და შენობის აგებაზე იზრუნონ ..

— ადგილობრივი მამსახლისი გზების კეთებას არავითარ ყურადღებას არ აქცევს, რის გამო ხალხი ტალახსა და წყალში იხრჩობა. ახლათ ამორჩეული მამსახლისის იმედი გვქონდა, მარა როგორც ისმის, არ ამტკიცებენ და ხელ ახალი არჩევნები უნდა მოხდესო

ლ ა დ მ მ ე ს ი ზ შ ი ლ ს.

ვინც სამშობლოს სტენის ბაღში
ვარდი დარგო სელ უსლები,
თვით ბუღბუღათ გადაიქცა,
უგალობა ტკბილი სმები;

ვინც მთხარა მზეს სსივები,
კაშკაში და შუქი მთავრეს,
განს შიისსა შარავანდათ,
აელვარებს არე-მარეს;

ვინც სტენასე მასთან ერთათ
ხან გვატირეს, ხან გვაცინეს,
ხან შეგვსსხამს რტნების ფრთებს
შანსისის მთებს აგვაცილებს,—

ნეტა იმას! დია არის
მისთვის მშობელ ერის გული,
და ნიშანი უკვდავების—
შიგ ძეგლი აქვს აკებული!

ახ სულმნათო! შენ ხარ იგი
უკვდავი და ბედნიერი
და, ჰა, აგერ განს გარტყია
მთელი ხალხი, მთელი ერი.

დაფნის გვირგვინს გადავს თავზე
და გიკაღმას ქებათ-ქებას...
განა რამე შეუდრება ქვეყანაზე ამ დიდებას?

ვაშა ჩვენო სიამაყეუ!
ვაშა ჩვენო სიჭადულო!
კიდევ დიდხანს იჩუხჩუხე
ხელაფნების ნაჯადულო!

(„მერცხალიდან“.)

გ. რუხაძე.

